ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №872719

ნომერი: AR1154268

თარიღი : 13.08.2013

გაცემის თარიღი : 30.08.2013

გაცნობის თარიღი : 21.10.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შარტავა , N 39 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 28.10.2008წ #1024 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 08/13/2013 წელს AR1154268 განაცხადით მომართა შპს „ინდეკო“-ს მინდობილმა პირმა რევაზ ტყემალაძემ და მოითხოვა #1024 (28.10.2008წ.) ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ, საპროექტო ობიექტის ფუნქციაში საცხოვრებელი ფუნქციის დამატება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ემუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული

დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ, ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა #39-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით #01.10.13.015.078 (ფართობი: 651 კვ.მ.) საოფისე შენობის დასაპროექტებლად მომზადდა #1024 (28.10.2008წ.) სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული ქალაქთმშენებლობითი პირობების მიხედვით უკვე შეთანხმებულია სამშენებლო დოკუმენტაცია, ხოლო დღეისათვის დამკვეთს სურს ზემოაღნიშნულ აქტში დაამატოს საცხოვრებელი ფუნქციის მქონე ობიექტი.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის საფუძველზე სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 28.10.2008წ #1024 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტში ნაცვლად „საოფისე შენობისა“ დაფიქსირდეს „შერეული ფუნქციის შენობა-ნაგებობა (საოფისე, საცხოვრებელი);
2. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 28.10.2008წ #1024 ქალაქთმშენებლობით პირობებს დაემატოს შენიშვნები:ღია და დახურული ავტოსადგომები მოეწყოს საკადასტრო რუკით დადგენილ საზღვრებში; მოეწყოს ბინების შესაბამისი რაოდენობის ავტოსადგომები; მოეწყოს პანდუსი უნარშეზღუდულ პირთა ეტლის გადასაადგილებლად და გამოიყოს ადგილი სანაგვე ყუთის განსათავსებლად;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 28.10.2008წ #1024 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.